სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს“
დირექტორის 2020 წლის 03 აპრილის
#02-09/ 53 ბრძანების

დანართი #1

სარეკლამო რგოლისათვის „ბიზნესის ხელშეწყობის“ სტატუსის მისანიჭებლად
დადგენილი მოთხოვნები:

1. ეკონომიკური საქმიანობის გამმახორციელებელი პირის მეირ წარმოდგენილი უნდა იყოს განცხადება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის - გიორგი კოხრეიძის სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა. იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
ბ. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.
ბ.დისტანციური მომსახურების/ადგილზე მიტანის შესახებ ინფორმაცია.
დ. მოთხოვნა კომერციული რეკლამის განთავსების თაობაზე.
ე. კომერციული რეკლამის ქრონომეტრაჟი.
ვ. განმცხადებლის პასუხისმგებლობაზე „რეკლამის შესახებ“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვაზე.

განცხადებას უნდა ერთვოდეს საგანგებო მდგომარეობის დროს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების სპეციალური ნებართვა (იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ეზღუდება ეკონომიკური საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის დროს).

განცხადება გადმოგზავნილი გადმოგზავნილი უნდა იყოს ელ. ფოსტაზე: zurabjijavadzetv@gmail.com ან წარმოდგენილი მატერიალურად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ადმინისტრაციულ შენობაში - მის: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41

2. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ წარმოდგენილი სარეკლამო ვიდეო/აუდიო რგოლი მიზნად უნდა ისახავდეს დისტანციური მომსახურების/ადგილზე მიტანის სერვისის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და პოპულარიზაციას.

3. სარეკლამო რგოლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 25 წამს.

4. სარეკლამო ვიდეო/აუდიო რგოლი ატვირთული უნდა იყოს ვებ.გვერდზე - wetransfer.com და ლინკი გამოიგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: zurabjijavadzetv@gmail.com

5. სარეკლამო ვიდეო/აუდიო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს:

ვიდეო ფორმატი - mp4 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით, "HighBitRate"რეჟიმი, მინიმუმ 30 mbps.)

Quicktime mov 25fps (H264 მაღალი ხარისხის კომპრესიით ან Photo JPG -100% quality)

აუდიო ფორმატი - 48.000 kHz Stereo